იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 81 „22" „აგვისტო" 2022 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ დანართში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ დანართის მე-3 მუხლის მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სისხლის სამართლის საქმეზე რეესტრის ადვოკატს, ნიშნავს ბიუროს უფროსი (საკონსულტაციო ცენტრი, მიმწოდებელი) სამსახურის დირექტორის თანხმობით, ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებლის მომართვის, სასამართლოს განჩინების ან განსაკუთრებულ შემთხვევაში თავად ბიუროს უფროსის (საკონსულტაციო ცენტრი, მიმწოდებელი) მომართვის საფუძველზე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით."

2. „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის

ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ დანართის მე-10 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) შეიყვანოს, მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით მონაცემები/ინფორმაცია, ინფორმაციის მიღებიდან ან/და აქტივობის განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ბექა ძამაშვილი

პავლე აბაიაძე

ესმა ნორაკია

ირაკლი გვარამაძე

სოფო ჩაჩავა